ანგარიში არ გახსნილა

19 აპრილს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის XV ჩემპიონატის პირველი კალენდარული მატჩი. მოთამაშე გუნდების – “სპარტაკის” (მოსკოვი) და “დინამოს” (თბილისი) კაპიტნებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ნ. დემენტიევმა და ა. ღოღობერიძემ აღმართეს გათამაშების დროშა. რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის ე. კლავსის (რიგა) ნიშანზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის “სპარტაკის” ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნ. სიმონიანმა ბურთი თამაშში შეიყვანა.

პირველ წუთებში დინამოელებმა “მოსინჯეს” მოწინააღმდეგის დაცვა. სცადეს ფლანგური გარღვევა, ცენტრშიც შეუტიეს, მაგრამ “სპარტაკის” დაცვა – ტიშჩენკო (№2), ბელოვი (№3) და ვასილიევი (№4) ზედმიწევნით ყურადღებით დარაჯობდნენ თავდამსხმელებს და თბილისელთა იერიშები კარიდან დაშორებით, საჯარიმო მოედნამდე ქრებოდა. გავიდა პირველი წუთები. ჩემპიონმა იოლად მოიგერია “დინამოს” იერიში და თვითონ გადავიდა შეტევაზე. წითელმაისურიანი ფეხბურთელები კარგად იყვნენ განლაგებული მოედანზე, თამაშობდნენ სწრაფად, აუღელვებლად, გეგმიანად.

შესანიშნავად ჩაატარა თამაში “სპარტაკის” ნახევარმცველმა ნეტომ. მან საფუძვლიანად “ჩაკეტა” კ. გაგნიძე, უნარიანად ხელმძღვანელობდა თავისი გუნდის მოქმედებას მოედნის ცენტრში და პარშინთან (№5) ერთად ხშირად მონაწილეობდა თბილისელთა კარის იერიშებში. მოსკოვის გუნდის თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნ. დემენტიევი. მეტად სახიფათოდ, მწვავედ თამაშობდა მოსკოველთა მარჯვენა ფრთა – პარამონოვი (№7) და ტერენტიევი (№8).

ტაიმის მე–7 წუთზე “დინამოს” კართან მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა. პარამონოვმა მიიღო გადაცემა, მოატყუა სარჯველაძე (№4) და სწრაფად გაიჭრა კართან. 5–6 მეტრიდან დარტყმული დაბალი ბურთი შესანიშნავი ნახტომით აიღო მარღანიამ. რამდენიმე წუთის შემდეგ დემენტიევმა შორი მანძილიდან “მკვდარი” ბურთი გაგზავნა მაღლა კუთხეში. თბილისელთა მეკარემ ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია ეს უაღრესად ძნელი ბურთი.

დინამოელებმა რამდენჯერმე სცადეს ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ მახარაძის (№5) და ღოღობერიძის ცდას პარტნიორებმა ვერ დაუჭირეს მხარი. თბილისელები თამაშობდნენ ნელი ტემპით, შეუთანხმებლად. მათ ვერც ერთი სამსვლიანი კომბინაცია ვერ გაითამაშეს და ფაქტიურად “სპარტაკის” იერიშების გაქარწყლებას უნდებოდნენ. განსაკუთრებით სუსტად გამოიყურებოდა თავდასხმა. ჯოჯუა (№7) მთელი თამაშის განმავლობაში ღრმა ზურგში იმყოფებოდა, გამუდმებით კარგავდა ბურთს, სისტემატურად მოწინააღმდეგეს აძლევდა გადაცემას და ერთხელაც არ დაურტყამს კარში. გაოცება გამოიწვია ჭკუასელის (№11) “ტაქტიკამ”. კარგი დრიბლინგისა და ძლიერი დარტყმის მქონე ფეხბურთელი რატომღაც მხოლოდ დროგამოშვებით მონაწილეობდა თამაშში, დროზე არ აწოდებდა პარტნიორებს, ყოველი მდგომარეობიდან არ არტყამდა კარში და ზოგჯერ, კარგა ხნით მაყურებლის როლში გამოდიოდა. ერთფეროვნად მოქმედებდა კ. გაგნიძე. შედარებით უკეთესად თამაშობდნენ კალოევი (№9) და ღოღობერიძე (№10).

სრული დატვირთვით ითამაშა “დინამოს” დაცვამ, რომელსაც ხშირად უხდებოდა ბურთის მოგერიება უმისამართოდ. ჩინებულად ითამაშა მარღანიამ, რომელმაც გუნდი რამდენიმე აშკარა გოლისაგან იხსნა.

პირველი ტაიმის განმავლობაში მოსკოველებმა 10–ჯერ დაარტყეს კარში, თბილისელებმა კი მათ ფრიად “მოკრძალებულად” უპასუხეს. მხოლოდ ღოღობერიძემ “შეაწუხა” ჩერნიშევი (№1) და ორჯერ თავით გაგზავნა მისკენ ბურთი.

მეორე ტაიმი კვლავ “სპარტაკის” იერიშით დაიწყო. მოსკოველები ისევ მოფიქრებულად და გეგმიანად ანაწილებდნენ ბურთს და აიძულებდნენ დინამოელთა დაცვას ძალების სრული დაძაბვით ეთამაშა. მე–16 წუთზე დემენტიევი ოსტატური დრიბლინგით გავიდა ფრთაზე და მარღანიამ მოუსწრო ძლიერად დარტყმულ ბურთს.

თბილისელებმა ინიციატივის ხელში ასაღებად ტემპს მოუმატეს. ამან შედეგი გამოიღო და თამაშმაც ჩემპიონის ნახევარზე გადაინაცვლა. დინამოელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, მეტი მონდომება გამოიჩინეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ შეტევა მაინც სტიქიურ, მოუმზადებელ ხასიათს ატარებდა და სიღრმეს მოკლებული, პირველი იერიშისთანავე ქრებოდა. ბოლო ხუთ წუთში სტუმრების კართან ზედიზედ შეიქმნა კრიტიკული მომენტი, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა – 3:1.

“ლელო”, 22 აპრილი, 1953 წ.